



თბილისისა და რეგიონების საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის (IX-XII კლასები) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით დაიწყო ელექტრონული ოლიმპიადის მათემატიკაში.


ოლიმპიადის ჩატარებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მათემატიკის პოპულარიზაციისათვის და ამ მხრივ, ელექტრონულ ოლიმპიადას კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს.

ოლიმპიადის მონაწილეობის შესახებ


- ოლიმპიადის მონაწილეობა შესაძლებელია დისტანციურად, ინტერნეტში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან;
- ოლიმპიადის მონაწილეობა უფასოა;
- ოლიმპიადის მონაწილეობა შეუძლია 1-3 მოსწავლისგან შემდგარ გუნდს;
- სკოლიდან გუნდების რაოდენობა შეზღუდული არ არის;
- ერთი მოსწავლე მონაწილეობს მხოლოდ ერთ გუნდში;
- ფინალი ტარდება როგორც გუნდური, ასევე ინდივიდუალური პრინციპით.

შაბათს, 2 აპრილს ჩატარდა ოლიმპიადის I ტური

- ✓ მონაწილეობის მსურველი გუნდების ელექტრონული რეგისტრაცია ჩატარდა 5 მარტიდან 31 მარტამდე.
- ✓ ტურში მონაწილეობა მიიღო 127 გუნდმა საქართველოს 28 რაიონიდან.
- ✓ საკონკურსო 15 ამოცანა (1 ამოცანა - 1 ქულა) დაიყო სამ ჯგუფად სირთულის მიხედვით – შედარებით მარტივი, საშუალო და რთული.



ნახ.1. გუნდების რაოდენობა ქულების მიხედვით



ნახ.2. I ტურში მონაწილე მუნიციპალიტეტების ნუსხა (მითითებულია გუნდების რაოდენობა)

II ტურში გადავიდა 68 გუნდი 40% და მეტი ქულით.

II ტური გაიმართება 16 აპრილს დისტანციურად.

ფინალი ჩატარდება 23 აპრილს თსუ-ში, ელექტრონული ფორმით.

გამარჯვებულის დაჯილდოვების ცერემონია ჩატარდება ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში.

გამარჯვებულებს ელით SDSU-საქართველოს და თსუ-ს მიერ დაწესებული პრიზები.

ელექტრონული ოლიმპიადის ტარდება ტემპუსის პროექტის - **ARMAZEG** -ის ფარგლებში შექმნილი ელექტრონული სწავლების ცენტრის მიერ.

ოლიმპიადის მომზადებაში ჩართულია SDSU-საქართველოს სტუდენტთა ჯგუფი.



დეტალური ინფორმაცია: <https://tsu.ge/ge/faculties/science/news/>

შემოგვიერთდით facebook გვერდზე [TSU E-Olympics](#)